

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„ 26 “ 12 “ 2014 წელი

ეგზ. № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აქ-48/00

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესახებ.....	6
აუდიტის მიდგომა.....	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	8
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
დებიტორული დავალიანება.....	8
სესხები (კრედიტორული დავალიანება).....	9
ორგანიზაციის ხარჯები	9
გარემოება 1. მომუშავეთა შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.....	9
გარემოება 2. პრემია.....	10
გარემოება 3. დანამატი.....	10
ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიში	11
გარემოება 1. უსასყიდლოდ მიღებული და გასული აქტივები.....	11
გარემოება 2. მომუშავეთა ანაზღაურების აღრიცხვა.....	12
გარემოება 3. აქტივების პრივატიზებით მიღებული ამონაგების ასახვა	12
ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	13
გარემოება 1. უსასყიდლოდ გასული აქტივების აღრიცხვა.....	13
გარემოება 2. არაფინანსური აქტივების აღრიცხვა	13
საცნობარო მუხლი	14
ინვენტარიზაცია	15
აუდიტის დასკვნა	15
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	16
დებიტორული დავალიანებები	16
სესხები (კრედიტორული დავალიანება).....	16
შენობა-ნაგებობები.....	17
გარემოება 1. შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასება.....	17
გარემოება 2. სხვა ძირითადი აქტივები	17
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	18
ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიში.....	20
გარემოება 1. უსასყიდლოდ მიღებული და გასული აქტივები	20
გარემოება 2. მომუშავეთა ანაზღაურების აღრიცხვა.....	20

გარემოება 3. აქტივების პრივატიზებით მიღებული ამონაგების ასახვა	21
ანგარიში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“	22
გარემოება 1. უსასყიდლოდ გასული აქტივების აღრიცხვა.....	22
გარემოება 2. ჩამოწერილი აქტივები	22
აღურიცხავი პრივატიზებული აქტივები	23
საცნობარო მუხლი	24
ინვენტარიზაცია	24
აუდიტის დასკვნა	25
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	26
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	38
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	49
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	49

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 17 297.1 ათასი ლარი, რომლის 99%-ს შეადგენს შემოსავლები, 1% არის არაფინანსური აქტივების კლება.

შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები - 2165.3 ათასი ლარი¹;
- ✓ გრანტები - 13865.8 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები - 1055.0 ათასი ლარი.

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად: გათანაბრებითი ტრანსფერი - 7110.4 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 6533.4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 222.0 ათასი ლარი.

2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 17 245.1 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გადასახდელების 65,7%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 35,3%-ს არაფინანსური აქტივების ზრდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები;
- ✓ გარე განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია;
- ✓ ბინათმშენებლობა (სახურავების შეკეთება და ფასადების რემონტი).

2013 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 26 811.2 ათასი ლარი, რომლის 99,8 %-ს შეადგენს შემოსავლები, 0,2 %-ს - არაფინანსური აქტივების კლება.

¹ 100% ქონების გადასახადი.

შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები - 1756.5 ათასი ლარი²;
- ✓ გრანტები - 23923.7 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები - 1069.0 ათასი ლარი.

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად: გათანაბრებითი ტრანსფერი - 7057.5 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 14916.2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 225.0 ათასი ლარი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 1725.0 ათასი ლარი.

2013 წელს ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 22093.4 ათასი ლარი. გადასახდელების 67%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 33%-ს არაფინანსური აქტივების ზრდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები;
- ✓ გარე-განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია;
- ✓ ბინათმშენებლობა (სახურავების შეკეთება და ფასადების რემონტი).

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლების საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

² 100 % ქონების გადასახადი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ ახდენს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც - სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა როგორც - მაღალი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

დებიტორული დავალიანება

გარემოება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 - ორგანიზაციის ბალანსი) მოკლევადიანი მოთხოვნების სახით არ არის აღრიცხული სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე იჯარით გაცემული ქონებიდან მიუღებელი 20.9 ათასი ლარის შემოსავალი.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 - ორგანიზაციის ბალანსი) მოკლევადიანი მოთხოვნების სახით არ არის აღრიცხული მისაღები საიჯარო შემოსავლები - 20.9 ათასი ლარი.

სესხები (კრედიტორული დავალიანება)

გარემოება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სესხის დაუფარვი ნაშთი, რომელიც შედარების აქტის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1199.0 ათას ლარს, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრისათვის - 974.2 ათას ლარს. აღნიშნული სესხი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით“ ბუღალტრულ ანგარიშზე №3312 და კრედიტორად ელიარებინა მუნიციპალური განვითარების ფონდი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსის ფორმა №1) ვალდებულებებში - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში არ არის აღრიცხული გრძელვადიანი სესხი წლის დასწყისისათვის 1199.0 ათასი ლარი და წლის ბოლოს - 974.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1. მომუშავეთა შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან ხელფასის სახით გაცემულია 1430.9 ათასი ლარი, მათ შორის, 74.6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით გაცემულია 2012 წლის აპრილში, როგორც „მე-13 თვის ხელფასი“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სახით „მე-13 თვის ხელფასის“ გაცემას, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს გაცემული თანხა უნდა აღერიცხა „პრემიის“ მუხლში.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების ანგარიშში - „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), არასწორად არის გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს მუხლი - 74.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია პრემიის სახით გაწეული ხარჯები.

გარემოება 2. პრემია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2012 წლის პერიოდში შტატგარეშე მომუშავეებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან პრემიის სახით გაცემულია 7.2 ათასი ლარი. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლი არ ითვალისწინებს კონტრაქტორებისა და სხვა სახის მომუშავეებისათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც დაწესებულების საშტატო რიცხოვნობაში არ შედიან. შესაბამისად, ნებისმიერი ამგვარი გადახდა უნდა ასახულიყო „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების ანგარიშში - „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (დანართი ფორმა №2), „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 7.2 ათასი ლარით, ხოლო მუხლში „საქონელი და მომსახურება“, იმავე თანხით შემცირებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები.

გარემოება 3. დანამატი

მუნიციპალიტეტის ბალანსში 2012 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, ხელფასის სახით გაცემულია - 1430.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემული თანხა მოიცავს დანამატს - 3.7 ათას ლარს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა“ და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდებოდეს ცალ-ცალკე პუნქტებში. შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოსა

და დანამატის სახით გაცემული თანხების მხოლოდ „ხელფასებში“ ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების არასწორ წარდგენას და არ იძლევა სრულ სურათს, თუ რისგან შედგება ის.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით (ბალანსის დანართი ფორმა №2), „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ არ არის წარმოდგენილი დანამატის სახით გაცემული თანხები, ხოლო თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემული თანხა არასწორად არის გაზრდილი 3.7 ათასი ლარით.

ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიში

გარემოება 1. უსასყიდლოდ მიღებული და გასული აქტივები

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი „ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიში“ (ბალანსის დანართი ფორმა №3), „აქტივებისა და ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლის“ მუხლში, უსასყიდლოდ გასული არაფინანსური აქტივების ღირებულების 2420.3 ათასი ლარის ნაცვლად, წარმოდგენილია 5963.2 ათასი ლარი, ხოლო „აქტივებისა და ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების, ღირებულებით 2519.2 ათასი ლარის ნაცვლად, დაფიქსირებულია წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების შესყიდვა, ღირებულებით 3891.1 ათასი ლარი. აღნიშნულის შედეგად არასწორადაა წარმოდგენილი წმინდა ღირებულების ანგარიშში როგორც უსასყიდლოდ გასული, ასევე უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების ჯამი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3), უსასყიდლოდ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების არასწორად ასახვის შედეგად, შეცდომითაა წარმოდგენილი უსასყიდლოდ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების ნაშთები.

გარემოება 2. მომუშავეთა ანაზღაურების აღრიცხვა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არასწორადაა კლასიფიცირებული „მომუშავეთა ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლები, რაც განპირობებულია იმით, რომ „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი - 160.3 ათასი ლარი, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ასახვის ნაცვლად, აღრიცხულია „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3), „მომუშავეთა ანაზღაურების“ ხარჯები გაზრდილია 160.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები.

გარემოება 3. აქტივების პრივატიზებით მიღებული ამონაგების ასახვა

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულია მის საკუთრებაში არსებული 5 შენობა-ნაგებობა, საბალანსო ღირებულებით 47.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებული აქტივები შეფასებული იყო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. შეფასების მიხედვით, აქტივების ფასები განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისაგან. კერძოდ, ორ შემთხვევაში, აქტივების ღირებულება აღემატებოდა საბალანსო ღირებულებას, ხოლო სამ შემთხვევაში, აუდიტორის მიერ განსაზღვრული ღირებულება ნაკლები იყო საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. შესაბამისად, პრივატიზების შედეგად მეტობით მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა - 1.9 ათასი ლარი, ხოლო ნაკლებობით - 33.6 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზების შედეგად მიღებული თანხა განსხვავდება გაყიდული აქტივების საბალანსო ღირებულებისაგან, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი ფორმა №3, „წმინდა ღირებულების ანგარიში“) აღნიშნული განსხვავების გავლენა არ არის დაფიქსირებული.

გავლენა

აქტივების საბალანსო ღირებულებისა და მათი პრივატიზებით მიღებული ამონაგების განსხვავების დაუფიქსირებლობა ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №3), არასწორად ასახავს ორგანიზაციის აქტივების წმინდა ღირებულების, როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ბრუნვის ნაშთებს. შედეგად, 2012 წელს წმინდა ღირებულების სადებეტო ნაშთი შემცირებულია 33.6 ათასი ლარით, ხოლო საკრედიტო ნაშთი - 1.9 ათასი ლარით.

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

გარემოება 1. უსასყიდლოდ გასული აქტივების აღრიცხვა

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), „უსასყიდლოდ გასული აქტივების“ მუხლში, 2420.3 ათასი ლარის ნაცვლად, დაფიქსირებულია 0.0 ლარი. აღნიშნული შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ უსასყიდლოდ გასული აქტივების ღირებულება - 2420.3 ათასი ლარი, გატარებულია არაფინანსური აქტივების „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) აქტივების გასავლების „სხვა ხარჯების“ და „უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლების მონაცემები წარმოდგენილია არასწორად.

გარემოება 2. არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულია 86.3 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები (შენობა-ნაგებობები და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები). პრივატიზებული აქტივებიდან ბუღალტრულად ჩამოწერილია და ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) გასავლებში წარმოდგენილია მხოლოდ 47.6 ათასი ლარის ღირებულების აქტივები, ხოლო დანარჩენი 38.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების გასვლა მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, ვინაიდან ეს აქტივები მუნიციპალიტეტის

მიერ საკუთრებაში მიღების პერიოდში ბუღალტრულად არ იყო აღრიცხული. საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურიდან არ არის მოწოდებული დოკუმენტაცია, აქტივების როგორც საკუთრებაში მიღების, ასევე მათი პრივატიზების (გასვლის) შესახებ.

გავლენა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების მოძრაობის ნაწილობრივი აღრიცხვა არასწორად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის ფორმა №1 და ფორმა №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) მონაცემებს.

საცნობარო მუხლი

გარემოება. 2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით 645.4 ლარი. აღნიშნული აქტივები „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის³ მოთხოვნათა მიხედვით, კერძოდ, სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) დაარსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მის ჩამოწერამდე უნდა აღირიცხოს ბალანსის „საცნობარო“ მუხლში.

გავლენა

- ამორტიზებული არაფინანსური აქტივების „საცნობარო“ მუხლში აღურიცხველობით სუსტდება კონტროლი მათ მოძრაობაზე.
- სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების „საცნობარო“ მუხლში არ აღრიცხვა, გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ინვენტარიზაცია

გარემოება. 2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძირითადი და მცირე ფასიანი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 2 ნოემბრის №2539 ბრძანების საფუძველზე. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგებზე მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა არ შეადგინა შედარების უწყისი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინვენტარიზაციის შედეგების დადგენის მიზნით, ფაქტობრივად არსებული და ბუღალტრულად რიცხული მატერიალური ფასეულობების შედარება⁴.

გავლენა

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, ხოლო იმის გამო, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინვენტარიზაცია ჩატარებულია არასრულყოფილად, ვერ დასტურდება ფინანსური ანგარიშების მონაცემების უტყუარობა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლი.

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

დებიტორული დავალიანებები

გარემოება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 - ორგანიზაციის ბალანსი), „მოთხოვნების“ მუხლში არ არის აღრიცხული, რომ სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე იჯარით გაცემული ქონებიდან მიუღებელმა შემოსავლებმა შეადგინა 28.1 ათასი ლარი.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში არ არის აღრიცხული მისაღები საიჯარო შემოსავლები - 28.1 ათასი ლარი.

სესხები (კრედიტორული დავალიანება)

გარემოება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სესხის დაუფარვი ნაშთი, რომელიც შედარების აქტის მიხედვით, 2013 წელს 1 იანვრისათვის შეადგენდა 974.2 ათას ლარს, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 713.5 ათას ლარს. აღნიშნული სესხი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა ბუღალტრულ ანგარიშზე №3312 - „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით“ და კრედიტორად ეღიარებინა მუნიციპალური განვითარების ფონდი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) „ვალდებულებებში“ - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში არ არის აღრიცხული გრძელვადიანი სესხი წლის დასაწყისისათვის - 974.2 ათასი ლარი და წლის ბოლოს - 713.5 ათასი ლარი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1. შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2013 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება ისეთი აქტივები, რომლებიც არ არის შეფასებული (2 შენობა-ნაგებობა) და მათი ღირებულება არაფინანსური აქტივების საბუღალტრო ბარათებში დაფიქსირებულია 0.0 ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არაფინანსური აქტივის ღირებულებითი ფასის არქონა გამოწვეულია იმით, რომ სოფელ შრომაში მდებარე შენობა მიღებულია მოქალაქისაგან ჩუქებით, ღირებულების მითითების გარეშე, ხოლო ოზურგეთში, ვ. დოლიძის ქ. №1-ში მდებარე ორსართულიანი შენობა-ნაგებობა გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ხოლო გადმოცემის დოკუმენტებში აქტივის ღირებულება არ არის დაფიქსირებული.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ბალანსში სრულად აღრიცხვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს მიღებული ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით და აქტივები როგორც ბალანსში, ასევე საბუღალტრო დოკუმენტებში აისახოს მათი რეალური ღირებულებით.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულების გარეშე ასახვის შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში „არაფინანსური აქტივების“ მუხლი წარმოდგენილია შემცირებული ღირებულებით.
- ღირებულების გარეშე არსებულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთა. შედეგად, წლიური ცვეთის ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5 და ფორმა №2) წარმოდგენილია არასწორად.

გარემოება 2. სხვა ძირითადი აქტივები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 2013 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლიდან განხორციელდა ზეზეული ხეების მოჭრა (სულ - 273 ხე), საერთო საბალანსო ღირებულებით - 325.3 ლარი. აღსანიშნავია,

რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ მრავალწლიანი ნარგავებიდან მოჭრილი ხეები შესაბამისი ღირებულებით, არ არის ჩამოწერილი საბუღალტრო ანგარიშებიდან.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოებით, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ორგანიზაციულ ბალანსში (ფორმა №1) „არაფინანსური აქტივების“ დანაყოფში „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 325.3 ათასი ლარით.
- ორგანიზაციის ანგარიშში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) არ არის დაფიქსირებული აღნიშნული აქტივების სხვა ეკონომიკური ნაკადებით გასვლა.
- ფინანსურ ანგარიშგებაში („ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, ბალანსის დანართი ფორმა №3) „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში არ არის ასახული აქტივების ღირებულება.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.

გარემოება. 2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში დაწყებული ზოგიერთი სამუშაო, გარკვეული მიზეზების გამო არ არის დასრულებული მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, ანუ მათი მშენებლობა გაგრძელებულია შემდგომ პერიოდში; ხოლო დაუსრულებელი სამუშაოების შესრულებული ნაწილი, მათზე გაწეული დანახარჯების შესაბამისად, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსის ფორმა №1) არ არის აღრიცხული, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა, კერძოდ:

- დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 2 423.0 ათასი ლარი. 2013 წელს შესრულებულია მხოლოდ 2 224.1 ათასი ლარის სამუშაოები.
- მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 990.0 ათასი ლარი. მიმდინარე პერიოდში დასრულებულია მხოლოდ 940.4 ათასი ლარის სამუშაო.

- ოზურგეთის №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ღირებულებით 150.5 ათასი ლარი. მიმდინარე პერიოდში შესრულებულია მხოლოდ 80.1 ათასი ლარის სამუშაო.
- ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ღირებულებით 229.6 ათასი ლარი. შესრულებულია 91.3 ათასი ლარის სამუშაოები.
- ოზურგეთის №9 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ღირებულებით 229.9 ათასი ლარი. შესრულებულია 97.0 ათასი ლარის სამუშაოები.
- მერია-ლაითურის შემაერთებელ გზაზე ხიდის მშენებლობა, ღირებულებით 2 356.2 ათასი ლარი. დასრულებულია 700.0 ათასი ლარის სამუშაოები.

აღნიშნულის შედეგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს სისტემურ უზუსტობას, კერძოდ: დაუმთავრებელ სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები აღირიცხება „სხვა ხარჯების“ მუხლში, ხოლო შემდგომ პერიოდში, სამუშაოების დასრულებისას ხდება მთლიანი გახარჯული თანხის აღრიცხვა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, ანუ ერთი და იგივე თანხა ერთ სააღრიცხვო პერიოდში ჩამოიწერება ხარჯებში, ხოლო შემდგომ სააღრიცხვო პერიოდში ხდება მისი აქტივად აღიარება.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁵ იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი აქტივების შეძენა (მშენებლობა, სხვა ფორმით შექმნა და სხვ.) ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული ნაწილობრივი გადახდებით, ასევე კაპიტალის საკუთარი სახსრებით შექმნასთან დაკავშირებით მათი წარმოების პროცესი, რომელიც ორ ან მეტ საანგარიშგებო პერიოდს გრძელდება, საანგარიშგებო პერიოდში განიხილება ძირითადი აქტივების მიღებად, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის სახით. ეტაპობრივად ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისად გადასახდელი მიმდინარე გადახდების ოდენობა აღირიცხება დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის (2140) ანგარიშის დებეტსა და აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3220) ანგარიშის კრედიტში, ხოლო დასრულება – ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და (2140) ანგარიშის კრედიტში.

კანონმდებლობით განსაზღვრული ეს მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შესრულებული.

⁵ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია.

გავლენა

აღნიშნული გარემოების გამო, მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზაციის ბალანსში (ფორმა №1) არ არის აღრიცხული დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, ხოლო (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხარჯების“ მუხლი გაზრდილია მიმდინარე პერიოდში არაფინანსურ აქტივებზე გაწეული დანახარჯებით (დაუმთავრებელი მშენებლობა).

ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიში

გარემოება 1. უსასყიდლოდ მიღებული და გასული აქტივები

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი „ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ანგარიშში“ (ბალანსის დანართი ფორმა №3), აქტივებისა და ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლის“ მუხლში, უსასყიდლოდ გასული არაფინანსური აქტივების ღირებულება - 304.9 ათასი ლარის ნაცვლად, წარმოდგენილია 7302.2 ათასი ლარით, ხოლო „აქტივებისა და ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების, ღირებულებით 5559.9 ათასი ლარის ნაცვლად, წარმოდგენილია წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების შესყიდვა, ღირებულებით 909.6 ათასი ლარი. აღნიშნულის შედეგად არასწორადაა წარმოდგენილი წმინდა ღირებულების ანგარიშში როგორც უსასყიდლოდ გასული, ასევე უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების ბრუნვების ჯამი.

გავლენა

წმინდა ღირებულების ანგარიშში (ბალანსის დანართი ფორმა №3) - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, უსასყიდლოდ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების ბრუნვების არასწორად ასახვის შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების ანგარიშის ნაშთები.

გარემოება 2. მომუშავეთა ანაზღაურების აღრიცხვა

2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არასწორადაა

კლასიფიცირებული „მომუშავეთა ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლები, რაც განპირობებულია იმით, რომ „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 273.2 ათასი ლარი, ნაცვლად „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ასახვისა, აღრიცხულია „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში⁶.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი, ფორმა №3) - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „მომუშავეთა ანაზღაურების“ ხარჯები გაზრდილია 273.2 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები.

გარემოება 3. აქტივების პრივატიზებით მიღებული ამონაგების ასახვა

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 შენობა-ნაგებობა და ერთი ავტომანქანა (სახანძრო მანქანა), საერთო ღირებულებით - 6.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებული აქტივები შეფასებული იყო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომლის შეფასებით აქტივების ფასები განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისაგან. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, აქტივის ღირებულება აღემატებოდა მის საბალანსო ღირებულებას, ხოლო ორ შემთხვევაში აუდიტორის მიერ განსაზღვრული ღირებულება ნაკლები იყო საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. შესაბამისად, პრივატიზების შედეგად მეტობით მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 3.0 ათასი ლარი, ხოლო ნაკლებობით - 4.3 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზების შედეგად მიღებული თანხა განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისაგან, ორგანიზაციის ბალანსში (დანართი ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“) აღნიშნული განსხვავებების გავლენა არ არის აღრიცხული.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავი.

გავლენა

აქტივების საბალანსო ღირებულებისა და მათი პრივატიზებით მიღებული ამონაგების განსხვავების დაუფიქსირებლობა ორგანიზაციის ბალანსში (ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №3), არასწორად ასახავს ორგანიზაციის აქტივების წმინდა ღირებულების როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ბრუნვის ნაშთებს. შედეგად, 2013 წელს წმინდა ღირებულების სადებეტო ნაშთი შემცირებულია 4.3 ათასი ლარით, ხოლო საკრედიტო ნაშთი 3.0 ათასი ლარით.

ანგარიში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“

გარემოება 1. უსასყიდლოდ გასული აქტივების აღრიცხვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), არასწორად არის წარმოდგენილი უსასყიდლოდ გასული აქტივები. კერძოდ, არ არის დაფიქსირებული წლის განმავლობაში განხორციელებული მოძრაობა, ვინაიდან უსასყიდლოდ გადაცემული აქტივების ჯამური ღირებულება 304.9 ათასი ლარი, წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) აქტივების გასავლების „სხვა ხარჯებისა“ და „უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლების მონაცემები წარმოდგენილია არასწორად.

გარემოება 2. ჩამოწერილი აქტივები

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ბალანსიდან ჩამოწერილი და კლასიფიცირებულია როგორც პრივატიზებული 4 არაფინანსური აქტივი (3 შენობა-ნაგებობა და ერთი ტრაქტორი), საერთო ღირებულებით 9.1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ჩამოწერილი აქტივები წარმოადგენს 2006 წელს სოფლების ლიკვიდირებული გამგეობების ბალანსზე რიცხულ ქონებას, რომლებიც, როგორც სამართალმემკვიდრეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადმოეცა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აქტივების ჩამოწერის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ გადმოცემის მომენტში

აღნიშნული აქტივები წარმოადგენდა კერძო საკუთრების ობიექტებს⁷, რაც აქტივების ბალანსზე აყვანის მომენტში არ იყო ცნობილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის.

წინა წლებში არასწორად ასახული აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა არ წარმოადგენს აქტივების პრივატიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ბალანსში ჩამოწერილი აქტივები უნდა ასახულიყო როგორც „გასავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებით“.

გავლენა

ჩამოწერილი აქტივების ორგანიზაციის ბალანსის (ბალანსის დანართი ფორმა №5, „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) „გაყიდვის“ მუხლში ასახვა არასწორად წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციებს.

აღურცხავი პრივატიზებული აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურის მიერ 2013 წელს პრივატიზებულია ბუღალტრულად აღურცხავი 8.2 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები (შენობა-ნაგებობები). საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურიდან არ არის მოწოდებული დოკუმენტაცია, როგორც აქტივების საკუთრებაში მიღების, ასევე მათი პრივატიზების (გასვლის) შესახებ.

გავლენა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების მოძრაობის ნაწილობრივი აღრცხვა არასწორად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის ფორმა №1 და ფორმა №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) მონაცემებს.

⁷ აღნიშნული ასევე დადასტურებულია საჯარო რეესტრის ამონაწერით.

საცნობარო მუხლი

გარემოება. სრულად ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა

2013 წლის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით 328.9 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით, სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) დაარსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მის ჩამოწერამდე უნდა აღირიცხოს ბალანსის „საცნობარო“ მუხლში.

გავლენა

- ამორტიზებული არაფინანსური აქტივების „საცნობარო“ მუხლში აღურიცხველობით სუსტდება კონტროლი მათ მოძრაობაზე.
- სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების „საცნობარო“ მუხლში არ აღრიცხვა, გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

ინვენტარიზაცია

გარემოება. 2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძირითადი და მცირე ფასიანი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 4 ნოემბრის №1859 ბრძანების საფუძველზე. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს არ შეუდგენია შედარების უწყისი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინვენტარიზაციის შედეგების დადგენის მიზნით ფაქტობრივად არსებული და ბუღალტრულად რიცხული მატერიალური ფასეულობების შედარება⁸.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 23.07. 2010 წ. N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლი.

გავლენა

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, ხოლო იმის გამო, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინვენტარიზაცია არასრულყოფილად ჩატარდა, ვერ დასტურდება ფინანსური ანგარიშგების მონაცემების უტყუარობა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ქვემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ფორმა №1

ორგანიზაციის ბალანსი

აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
<u>1.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</u>			
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1100		
ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
საანგარიშწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	1210	361008	409585
სავალუტო ანგარიში ბანკში	1212		
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1213		
